

ეკონომიკური უსახრიშვილის საგანვითლებლო ღირებულებების პარალიზმი

ალექსანდრე სიჭინავა
სტუ-ს პროფესორი,
დალისებნიაშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

განხილულია სასწავლო ეკონომიკური ექსპერიმენტების მნიშვნელობა ეკონომიკური დისკიპლინების სწავლებისას უმაღლეს სასწავლებლებში. ხაზგასმულია, რომ ისინი სწავლების პროცესში სტუდენტების ჩართულობის მაღალ ხარისხს განაპირობებს, ახალისებრ სწავლების პროცესს. ეკონომიკური ექსპერიმენტის მიმდინარეობისას სტუდენტი აფასებს როგორც მიმდინარე სიტუაციას, ისე საკუთარ თავს პროცესებში, რაც ავითარებს სტუდენტებში ახალ კომპეტენციებს და ანალიტიკურ უნარებს.

საკუთარი სიტყვები: ექსპერიმენტული ეკონომიკა, საგანვითლებლო ეკონომიკური ექსპერიმენტი, შრომისმნარმოებლურობა.

PARADIGMS OF THE EDUCATIONAL VALUES OF THE ECONOMIC EXPERIMENT

Alexander schinava, Professor of GTU
Dali Sekhniashvili, Associate Professor of GTU

RESUME

The authors considerate the importance of the economic experiments in the study process of economic disciplines in the higher education institutions. It emphasizes importance of the economic experiments for student involvement in the teaching process. During the economic experiment, the student assesses the current situation as well as assesses itself in these processes. Authors believe that through these processes, students develop new competences and analytical skills.

Keywords: Experimental Economics, Educational Economic Experimentation, Labor Productivity

შესავალი

ნებისმიერი სამეცნიერო თეორია ან კონცეფცია ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაზე ზემოქმედებისა და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობისათვის არსებობს. ამაშია თეორიისა და ემპირიის ურთიერთდამოკიდებულების პირველი საფუძველი. მეორე კი, უფრო მეტად ფუნდამენტალური და არსებითა: ვიდრე კვლევები დაინტერესობა, მათ შორის მეცნიერული კვლევები, მკვლევარი თავიდანვე „ჩაფლულია“

ემპირიულ რეალობაში, იგი ამ რეალობაში თითქოს სტიქიურად არსებობს, იგი თავად არის ამ რეალობის ნაწილი და მისი პირველი ემპირიული ფაქტორი.

ეკონომიკური ექსპერიმენტების გამოყენების ფასეულობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას მონაცემები ეკონომიკური სუბიექტებისქვევის შესახებ ლაბორატორიის კონტროლირებად სიტუაციაში, რომლის დროსაც ჩნდება შესაძლებლობაქცევითი რეაქციების მრავალფეროვნებიდან გამოყოფილ იქნას ზუსტად ის ასპექტები, რაც საჭიროა მოცემული ამოცანის გადასაჭრელად. ასევე, ის საშუალებას იძლევა შესწავლის იქნას სიტუაციები, რომლებიც არასაკმარისად აისახა კონკრეტულ თეორიაში.[1]

ცნობილია, რომ ეკონომიკური ექსპერიმენტი არის „ეკონომიკური მოვლენის ან პროცესის ხელოვნური კვლავნარმოება მისი გაცილებით უფრო კეთილსასურველ პირობებში შესწავლისა და შემდგომი პრაქტიკული ცვლილებების მიზანით“. [2, გვ. 11], ხოლო ექსპერიმენტული ეკონომიკა არის ეკონომიკური მეცნიერების მიმართულება, რაც მონაცემებულია კონტროლირებადი ექსპერიმენტის პირობებში შეისწავლოს ადამიანის ქცევა და მოახდინოს ეკონომიკური თეორიების წინასარმეტყველების გარკვეული ტესტირება.

ამრიგად, ეკონომიკური ექსპერიმენტის ყველა სახეობიდან, ექსპერიმენტული ეკონომიკა მხოლოდ ლაბორატორიულ საგნობრივ ეკონომიკურ ექსპერიმენტებს იყენებს.

პირობადი ნაილი

ეკონომიკურ მეცნიერებასა და განათლებაში ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება, აგრეთვე, ეკონომიკურ პრაქტიკაში ექსპერიმენტების გამოყენება სრულიად ობიექტური პროცესია. ეკონომიკური ექსპერიმენტები საკუთარი (სამეცნიერო), სამეცნიერო-სანარმოო (გამოყენებითი) და პედაგოგიურ ექსპერიმენტებად (სწავლების მიზნებისთვის გამოყენებადი ექსპერიმენტები) იყოფა. ბუნებრივია, რომ კვლევითი ეკონომიკური ექსპერიმენტის მიზნები წმინდა მეცნიერული და კვლევითია, სამეცნიერო-სანარმოო ექსპერიმენტში შერწყმულია სამეცნიერო და სანარმოო (სამეურნეო) მიზნები, პედაგოგიური ექსპერიმენტი კი (მაგალითად, საქმიანი თამაშის ფორმით) აერთიანებს მეცნიერულ და პედაგოგიურ მიზნებს.

აქვე უნდა ავლიშნოთ, რომ გამოყენებითი ექს-

პრაქტიკაში შემოწმდეს არსებული თეორიული მოდელი, მოძებნოს არსებითი გადახრა ან სულაც რეალურ ეკონომიკური სინამდვილისათვის მიუღებლად იქნას ის ცნობილი. პრაქტიკაში ხდება არსებული თეორიული მოდელიდან გადახრების გამოვლენა, ან ახალი, მეტად არსებითი კანონზომიერების დადგენა, ან ადრე არსებულის და არ გათვალისწინებული კანონზომიერების გამოვლენა. ხოლო, არსებული თეორიის პრაქტიკასთან საესაბით შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, აუცილებელი ხდება, რეალური ეკონომიკური სინამდვილის შესაბამისი სრულიად ახალი ჰიპოთეზისა და მოდელის ჩამოყალიბება.

სწავლების მიზნებისთვის გამოყენებადი ექსპერიმენტები ეკონომიკური განათლების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ისინი ხელს უწყობს სტუდენტების უფრო მეტად ჩართულობას სწავლების პროცესში.

სწავლების ტრადიციულ მოდელში, რაც ლექცია-სემინარების სახით მიმდინარეობს, სტუდენტი არ იმყოფება შესასწავლი პროცესის შიგნით: ის გარე დამკვირვებელია და ცნებების, კლასიფიკაციებისა და კანონზომიერებების სახით არსებულ ცოდნას ითვისებს. იდეალურ შემთხვევაში ასეთი სტუდენტის გონიერი უნდა ჩამოყალიბდეს გარკვეული აბსტრაქტული მოდელი, სადაც ძირითადი კანონზომიერებია დაფიქსირებული.

სწავლების ტრადიციული მოდელი ორ მნიშვნელოვან ვარაუდზეა ორიენტირებული: პირველი, სტუდენტს შეუძლია რეალურ ცხოვრებაში ნახოს ის კანონზომიერებები, რაც აბსტრაქტულ მოდელშია ნარმოდებილი, ეს მეტად ძნელი ამოცანაა, რადგან რეალურ სინამდვილეში ნებისმიერ მოვლენასა და შედეგზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას, რაც „წმინდა მოდელში“ არ არის გათვალისწინებული, ან ჩათვლილია არა მნიშვნელოვნად. ადამიანს სჭირდება აბსტრაქტული აზროვნების მაღალი დონე იმისათვის, რომ „წმინდა მოდელი“ კონკრეტულ მაგალითთან დააკავშიროს.

მეორე ვარაუდი, დაშვება იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტს შეუძლია მიღებული ცოდნა „ჩამშენოს“ რეალური სინამდვილის სამყაროში. ცოდნას თავის თავად არა აქვს ფასეულობა, ის საჭიროა რაიმე სახით იქნას გამოყენებული. აქ კიდევ ერთი პრობლემა ჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში, ვთქვათ, თქვენ ხართ ის ადამიანი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას და თქვენს გადაწყვეტილებასა და ქმედებაზეა დამოკიდებული შედეგი, მაინც ჩნდება უამრავი გაუთვალისწინებელი ფაქტორი. პირველი, ეს ფაქტორებიაიძულებს ადამიანს ყველაზე მნიშვნელოვანიდან სხვა მომენტზე, ზოგ შემთხვევაში კი, დაყენებული მიზნიდანაც კი, გადაიტანოს ყურადღება, და მეორე, არღვევს თვით კანონზომიერებას. ეს ზემოქმედებები ცვლის შედეგს და, შესაბამისად, არღვევს „წმინდა მოდელების“ რეალურობისადმი რწმენას.

ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება, ტრადიციულისაგან განსხვავებით, აცოცხლებს სწავლების პროცესს. ექსპერიმენტი სწავლებას გადააქცევს პროცესად, რომელიც აყალიბებს კონკრეტულ ეკონომიკურ მოვლენას. ამასთან, სტუდენტი გარე დამკვირვებელი კი არა, შედეგზე გავლენის მომზღვენი სუბიექტია, ანუ უკვე ექსპერიმენტის მიმდინარეობისას აფასებს არსებულ სიტუაციას და საკუთარ თავსაც ამ პროცესში. ეს გარემოება სტუდენტის უფრო ღრმა ჩართულობის, უყრადღების მობილიზებისა და შესასწავლი მოვლენის უკეთესად გაგების საშუალებას იძლევა.

ექსპერიმენტული მეთოდები თვისებრივად ამდიდრებენ სწავლების ტრადიციულ წესებს, რამდენადაც სწორედ ისინი იძლევა საშუალებას, პრაქტიკაში შემოწმდეს არსებული თეორიული მოდელი. სწავლების ასეთი მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოტივირებული სტუდენტებისათვის, რომლებსაც მუშაობის გამოცდილება აქვთ და ისეთი ეკონომიკური ცოდნის მიღება სურთ, რაც საკუთარი საქმიანობის შედეგების ამაღლების საშუალებას მისცემთ. ასეთ შემთხვევაში პრაქტიკული სარგებლიანობა არის სწავლების ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმი, რამდენადაც ეკონომიკურ თეორიას მაშინ აქვს ფასეულობა, თუ ის გამოიყენება პრაქტიკაში.

ამგვარად, ექსპერიმენტული ეკონომიკა მნიშვნელოვანი ინოვაცია ეკონომიკურ განათლებაში. ექსპერიმენტული მეთოდები სწავლების პროცესში სტუდენტის ჩართულობის ერთ-ერთი ტექნოლოგიაა, რაც მას ახალი კომპეტენციებისა ანალიტიკური უნარების განვითარების საშუალებას აძლევს. განათლებაში ექსპერიმენტული მეთოდების მნიშვნელოვანია, გამომდინარე, ვფიქრობთ მნიშვნელოვანია, გამოიძინოს ეკონომიკური დისკიპლინების სტრუქტურაში მათი ჩართვის საშუალებები.

მაგალითად, განვიხილოთ პრაქტიკული ექსპერიმენტის მარტარის სტუდენტი, თუროვორ შეიძლება ჩამოყალიბდების სტუდენტს წარმოდგენა ცნების „მწარმოებლურობა“ შესახებ.

მეცადინების წინ, მიზანშეწონილია, შესასწავლი ცნების მნიშვნელობის განსაზღვრა, ანუ ჩვენს შემთხვევაში - მწარმოებლურობის.

მიკროეკონომიკაში ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ შრომის მწარმოებლურობის შესახებ, ეს საშუალო მაჩვენებლია და კონკურენტუნარიანობისა და ეფექტუანობის განსაზღვრისათვის „მწარმოებლურობას“ პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ფირმის კონკურენტუნარიანობა დიდადა დამოკიდებული ორ ძირითად მახასიათებელზე: ეფექტიანობასა და მდგრადობაზე. [4, გვ. 175-180] თითოეული ეს მაჩვენებელი ცალ-ცალკეც საკმაო ნათლადაფასებსფირმისსაქმინობას, მაგრამ ორივე ერთად ფირმას ქმნის ნამდვილად კონკურენტუნარიანის. ერთ-ერთი საბაზოცნება, რაც ეფექტიანობას განსაზღვრავს არის „მწარმოებლურობა“. მწარმოებლურობა ასახავს იმას, თუ რამდენადე ფექტიანად გამოიყენება რესურსები (მრომა, კაპიტალი, მოწყობის განვითარება და მოვლენების გამოიყენება რესურსები) მათი ჩართვის საშუალებები.

ბილობები და სხვ.) და სწორედ მნარმოებლურობაში უპირატესობა ხშირად ითვლება ფირმის კონკურენტულ უპირატესობად.

ექსპერიმენტებით ვსაზღვრავთ შრომისმნარმოებლურობას, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს შრომის დანახარჯების შედეგიანობა. შრომის მნარმოებლურობა ორი მაჩვენებლით ფასდება: ნარმოებული პროდუქტით და შრომატევადობით. აյ მნიშვნელოვანია აუდიტორიისთვის ტერმინების „შრომატევადობა“ და „მნარმოებლურობა“ არსის, განმარტების, ფორმულების გახსენება. შემდეგ კიშესაძლოა უშუალოდ ექსპერიმენტზე გადასვლა.

1. აჩვენეთ, როგორ კეთდება რომელიმე ნაკეთობა. მის არჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტების მხრიდან ექსპერიმენტისადმი ინტერესის გამოჩენის თვალსაზრისით. უ. ნერალი ლექტორებს სთავაზობს ე.ნ. ვიჯეტები (Widgets) და ვაჯმები (whajamas) გამოყენონ. ეს მოხრილი და დასტეპლერებული ქალალდებია.

მათ ნაცვლად, შესაძლოა, ორიგამის წესით¹ შესრულებული ფიგურების გამოყენებაც.



მაგალითად, ექსპერიმენტისთვის შესაძლოა სამკუთხა მოდულები შეიქმნას და მათგან, შემდეგ მოცულობითი ორიგამა აინწყოს, მაგალითად, ყვავილი. იმ შემთხვევაში კი, თუ ორი მოდელი სანცყობაა ექსპერიმენტის მიზანი (სანარმოო შესაძლებლობების მრუდის აგებისთვის), შესაძლოა, მაგალითად, თვითმფრინავის და გემისაგება. ახალილის წინ, დ. იანდელის რეკომენდაციის შესაბამისად, შესაძლოა სტუდენტებისთვის დეკორაციების მომზადების შეთავაზება. [6] დ. ჰაზლეტის აზრით კი, უკეთესია, კარაქის და ჯემის სენდვიჩების დამზადების შეთავაზება. [7]

2. სტუდენტები ნაკეთობის დამზადებას გარკვეულ დროს ანდომებენ და მათ უნდა განსაზღვრონ, თუ რა დრო დახარჯეს პირველი ეგზემპლარის დამზადებაზე. ამ პროცედურას ქრონომეტრაჟი ეწოდება.

3. განიხილება მიღებული შედეგი, რომელსაც „ნაკეთობის დამზადების შრომატევადობა“ ჰქვია. ეს მნარმოებლურობის გაზომვის ერთ-ერთი მეთოდია. თუმცა, სტუდენტებს უნდა შეახსენოთ, რომ შრომის მნარმოებლურობა ისეთი მაჩვენებლითაც იზომდება, როგორიცაა „ნარმადობა“ და გაიანგარიშება თოთოეული სტუდენტის „ნარმადობა“ ერთ საათში.

4. განიხილება სხვადასხვა ცნებაც, მაგ.: „ტექნოლოგია“ (ანუ სანარმოო პროცესი, როგორც ცალკეული ოპერაციების ერთობლიობა — ქალალდის გაჭრა, ნანარმის აგება, დასტეპლერება და სხვ.); „ოპერაცი-

¹ ორიგამი — ქალალდისგან სხვადასხვა ფიგურის შექმნის ტექნიკა

ული ეფექტიანობა“ და ოპერაციული ეფექტიანობის ამაღლების მაგალითები, ვთქვათ, ჰ. ფორდისკონვეიერი). შესაძლოა, ყურადღების გამახვილება იმაზეც, თუ როგორ ახდენს გავლენას ოპერაციულ ეფექტიანობაზე ნარმოების სხვადასხვა ტიპი (ცალკეული ერთეულის დამზადება, სერიული ნარმოება, მასობრივი ნარმოება).

შესაძლოა განხილულ იქნას შრომატევადობისა და ნარმადობის მაჩვენებლების დადებითი და უარყოფითი მხარეები, აგრეთვე, შრომატევადობის შეფასების თავისებურებები შრომის დანახარჯების შემადგენლობის (ტექნოლოგიური შრომატევადობა, ნარმოების მომსახურების შრომატევადობა, სანარმოო შრომატევადობა, ნარმოების მართვის შრომატევადობა და სრული შრომატევადობა) მიხედვით და მათი როლი წარმოების პროცესში.

დასკვნა:

ყველა სასწავლო ექსპერიმენტის მიზანია სტუდენტების უფრო მეტად ჩართულობა საქმიანობის ეკონომიკური შედეგების ფორმირების პროცესსა და მის შემდგომ ანალიზში. უკანასკნელ პერიოდში მთელ მსოფლიოში ნათლად გამოიკვეთა შემდეგი კანონზომიერება: სტუდენტები აბსტრაქტული აზროვნებისა და ანალიზის უნარებს კარგავენ. თუმცა, მეორე მხრივ, ყოველწლიურად უმაღლეს სასწავლებლებში უფრო მეტი სტუდენტი მოდის, რომლებიც, მობილურ ტელეფონებთან, კომპიუტერებთან, სმარტფონებსა და სხვადასხვა ჭკვიან (smart) ტექნიკასთან ურთიერთობის გამო, მიჩვეული არიან ინტერაქტიურ საქმიანობას. შემსწავლელი (საგანმანათლებლო) ექსპერიმენტული ეკონომიკა სტუდენტური აუდიტორიის სწორედ ასეთი ცვლილებისადმი შეგუების საშუალებას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Беляева А.Д. Предпосылки возникновения экспериментальной экономики и её признание как научного направления, Санкт-Петербургский гос. Экономический университет, 2010
2. Нуреев Р.М., Вернон Смит - основоположник экспериментальной экономики. М.: Ирисен Мысли, 2006
3. Карпов А. Л. Конкурентоспособность фирм: эффективность и устойчивость в агрессивной внешней среде, Журнал экономической теории. 2009. № 4.
4. Yandell D. Using Economic Experiments in the Classroom. Upper Saddle River, NJ : Prentice Hall, 1999.
5. Hazlett D. Economic Experiments in the Classroom. Reading, MA : Addison Wesley Longman, 1999.